# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

№300 2012 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი

## 2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-8 პუნქტის, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის (პროგრამული კოდი – 32 04 04) შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდეს შემდეგნაირად:

**მუხლი 1. დაფინანსების ოდენობა**

1. 2012-2013 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისათვის გამოიყოს 1 118 208 (ერთი მილიონ ას თვრამეტი ათას ორას რვა) ლარი.

27   53508/2



2. სოციალური პროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის (შემდგომში – გრანტი) სრული ოდენობის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სოციალური პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ოდენობამდე, მაგრამ არა უმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრანტის სრული ოდენობის მაქსიმალური ოდენობისა.

**მუხლი 2. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი**

1. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-2, მე-5, მე-7, მე-9 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას ან არის ამ დადგენილების მე-7 მუხლის „ზ", „ე" ან „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტი.

2. სტუდენტმა, რომელიც განეკუთვნება ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-6, მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას, და რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, შეიძლება მოიპოვოს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, თუ ის ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებ-